GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

01 Mayıs /მაისი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4%	13.9%	3.5 %

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, 23 Nisan'da AGİT Genel Sekreteri Feridun Sinirlioğlu ile Bir Araya Geldi

23 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ეუთო-ს გენერალურ მდივანს ფერიდუნ სინირლიოღლუს შეხვდა

Görüşmede AGİT ile işbirliği, bölgedeki mevcut durum ve Gürcistan'ın karşı karşıya olduğu zorluklar ele alındı. Başbakan, AGİT Genel Sekreteri'ne Gürcistan'a yaptığı ziyaret ve yakın işbirliğinden dolayı teşekkür etti.

Görüşmede bir kez daha Gürcistan'ın demokratik ilkelere, insan haklarına ve hukukun üstünlüğüne olan bağlılığı vurgulandı.

Taraflar, Gürcistan'ın işgal altındaki topraklarındaki durumu görüşmüşlerdir. Gürcistan tarafının, AGİT Eş Başkanlığını'nın Cenevre Uluslararası Görüşmeleri'ne ve Olay Önleme ve Müdahale Mekanizması formatına katılımını olumlu değerlendirdiği kaydedildi. Gürcistan hükümetinin barış politikasına olan bağlılığı önemle vurgulandı.

Hükümet İdaresi'nde gerçekleştirilen toplantıda Güney Kafkasya bölgesinde barış ve istikrarın önemi ve Gürcistan'ın bu konudaki çabaları vurgulanmıştır. AGİT'in Avrupa güvenlik mimarisi konusunda diyalog için merkezi platform olarak kalmasının önemli olduğu kaydedildi.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

შეხვედრაზე საუბარი ეუთოსთან თანამშრომლობას, რეგიონში არსებულ ვითარებას და საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებს შეეხო. პრემიერ-მინისტრმა ეუთო-ს გენერალურ მდივანს საქართველოში ვიზიტისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს ერთგულება დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მიმართ.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. აღინიშნა, რომ ქართული მხარე აფასებს ეუთო-ს თანათავმჯდომარეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და მონაწილეობას ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს ხელისუფლების ერთგულება სამშვიდობო პოლიტიკის მიმართ.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას და ამ კუთხით საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ეუთო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაზე დიალოგის ცენტრალურ პლატფორმად დარჩეს.

Levan Davitashvili'nin ABD Ziyareti: Ekonomik İlişkilerde Yeni Bir Dönem

ლევან დავითაშვილის ვიზიტი აშშ-ში: ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ეტაპი

Gürcistan Ekonomi Bakanı ve Başbakan Yardımcısı Levan Davitashvili, 22-23 Nisan 2025 tarihlerinde Washington, D.C.'de düzenlenen Dünya Bankası ve Uluslararası Para Fonu'nun (IMF) Bahar Toplantıları'na katıldı. Bu ziyaret, Gürcistan'ın ekonomik kalkınma hedefleri doğrultusunda uluslararası işbirliğini güçlendirme çabalarının bir parçası olarak değerlendirilmektedir.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲘᲨᲑᲐᲜᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Dünya Bankası ile IMF'in Stratejik İşbirliği

Davitashvili, Dünya Bankası ve IMF yetkilileriyle gerçekleştirdiği görüşmelerde, Gürcistan'ın altyapı projeleri, sürdürülebilir kalkınma ve enerji verimliliği gibi stratejik alanlarda işbirliğini artırma yollarını ele aldı. Bu görüşmeler, Gürcistan'ın ekonomik reform süreçlerini destekleyecek finansal ve teknik yardımların sağlanması açısından kritik öneme sahiptir.

ABD Dışişleri Bakanlığı ile İkili İlişkilerin Derinleştirilmesi

Davitashvili, ABD Dışişleri Bakanlığı yetkilileriyle yaptığı toplantılarda, Gürcistan ile ABD arasındaki ekonomik ve ticari ilişkilerin daha da derinleştirilmesi gerektiğini vurguladı. Görüşmelerde, geçmişte yaşanan bazı sorunlar ele alınarak, gelecekteki işbirliği alanları tartışıldı. Davitashvili, iki ülkenin yeni yönetimlerinin ortak çıkarlar doğrultusunda uyumlu bir yaklaşım sergilediğini belirtti.

Ticaret ve Yatırım Alanlarında Yeni Fırsatlar

Ziyaret sırasında, Gürcistan'ın ABD ile serbest ticaret anlaşması yapma olasılığı gündeme geldi. Davitashvili, böyle bir anlaşmanın, ABD'nin Güney Kafkasya'ya olan ilgisinin arttığını ve Gürcistan'ın ekonomik kalkınma ile Avrupa-Atlantik entegrasyon hedeflerine katkı sağlayacağını ifade etti. Ayrıca, Gürcistan'ın enerji, bilgi teknolojileri, turizm ve konaklama sektörlerinde ABD yatırımlarını çekme potansiyeli üzerinde duruldu.

Sonuç ve Beklentiler

Levan Davitashvili'nin ABD ziyareti, Gürcistan'ın ekonomik stratejisinde önemli bir adım olarak değerlendirilmektedir. Bu ziyaret, iki ülke arasındaki ticaret ve yatırım ilişkilerinin güçlendirilmesi, altyapı projelerinde işbirliğinin artırılması ve sürdürülebilir kalkınma hedeflerinin desteklenmesi açısından büyük bir fırsat sunmaktadır. Gelecekte, bu işbirliklerinin somut projelere dönüşmesi ve her iki ülkenin ekonomilerine katkı sağlaması beklenmektedir.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა 2025 წლის 22-23 აპრილს ვაშინგტონში მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საგაზაფხულო შეხვედრებში. ვიზიტი განიხილება როგორც საქართველოს მცდელობა, გააღრმავოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური განვითარების მიზნით.

სტრატეგიული პარტნიორობა მსოფლიო ბანკთან და IMF-თან

დავითაშვილმა შეხვედრები გამართა მსოფლიო ბანკისა და IMF-ის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილეს თანამშრომლობის გაძლიერების გზები სტრატეგიულ მიმართულებებში, როგორიცაა ინფრასტრუქტურული პროექტები, მდგრადი განვითარება და ენერგოეფექტურობა. აღნიშნული შეხვედრები მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური რეფორმების პროცესის მხარდასაჭერად, ფინანსური და ტექნიკური დახმარების ჩათვლით.

ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან

დავითაშვილმა შეხვედრები გამართა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ხაზი გაუსვა საქართველო-აშშ-ის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობას. განიხილეს წარსულში არსებული საკითხები და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. მინისტრის განცხადებით, ორივე ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ გამოხატა მზადყოფნა საერთო ინტერესების შესაბამისად იმუშაოს.

ახალი შესაძლებლობები ვაჭრობისა და ინვესტიციების მიმართულებით

ვიზიტის დროს განხილულ იქნა აშშ-სთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა. დავითაშვილის თქმით, ასეთი შეთანხმება აჩვენებს აშშ-ის მზარდ ინტერესს სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ და ხელი შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ყურადღება გამახვილდა აშშ-ის ინვესტიციების მოზიდვაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტურიზმი და სასტუმრო ინდუსტრია.

დასკვნა და მოლოდინები

ლევან დავითაშვილის აშშ-ში ვიზიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფარგლებში. ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაძლიერებას, ინფრასტრუქტურულ პროექტებში თანამშრომლობის გაღრმავებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერას. მომავალში მოსალოდნელია ამ თანამშრომლობის კონკრეტულ პროექტებში განხორციელება, რაც სარგებელს მოუტანს ორივე ქვეყნის ეკონომიკას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'a Ziyaretçi Sayısı Arttı

საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა

Galt & Taggart turizm sektörü incelemesine göre, 2025 yılının ilk çeyreğinde Gürcistan'a gelen uluslararası ziyaretçiler (turistler ve günübirlik ziyaretler dahil) bir önceki yıla göre %1.3 artarak 1.2 milyona ulaştı.

G&T'a göre, günübirlik ziyaretlerin yıllık %2.4 azalmasına rağmen artışın başlıca nedeni turist ziyaretlerindeki %2.2'lik artış (toplam ziyaretlerin %81.8'i) oldu.

Ziyaretçilerdeki toplam artışa en yüksek katkıyı, İsrail'den ziyaretçilerin artışı (+%72.9 y/y) sağlamıştır. Bunu, Azerbaycan'dan ziyaretçilerin artışı (+%25.9 y/y, kara sınırının kapalı olmasına rağmen) ve Hindistan'dan ziyaretçilerin artışı (+%27.7 y/y) takip etmektedir.

Bu bağlamda, Türkiye'den (-%11,5 y/y) ve Ermenistan'dan (-%5,7 y/y) ziyaretçilerin azalması, söz konusu dönemde en yüksek olumsuz katkıyı sağlamıştır.

Ziyaretçilerin çoğu (%56.3) Gürcistan'a karayolu taşımacılığı araçlarıyla girmiştir, %42.9'u havayolu üzerinden giriş yapmıştır.

Gürcistan Ulusal Bankası'na göre, turizmden elde edilen gelirler yıllık %2.3 artış göstererek 2025 yılı birinci çeyreğinde 826 milyon ABD doları olmuştur. Tahminlere göre, 2025 yılında turizm gelirleri 4,5 milyar ABD dolarına ulaşacaktır.

2025 წლის 1-ელ კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორები (ჯამურად ტურისტული და ერთდღიანი ვიზიტები) საქართველოში წლიურად 1.3%-ით გაიზარდა და 1.2 მლნ მოგზაური შეადგინა. ამის შესახებ „გალთ ენდ თაგარტის“ ტურიზმის სექტორის მიმოხილვაშია აღნიშნული.

მათივე შეფასებით, აღნიშნული ზრდა ძირითადად ტურისტული ვიზიტების 2.2%-იანმა ზრდამ განაპირობა (81.8% მთლიან ვიზიტებში), მაშინ როცა ერთდღიანი ვიზიტები წლიურად 2.4%-ით შემცირდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲑᲐᲜᲙᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

ვიზიტორების მთლიან ზრდაში ყველაზე მაღალი კონტრიბუცია შეიტანა ვიზიტორების ზრდამ ისრაელიდან (+72.9% წ/წ), რომელსაც მოჰყვება ვიზიტორების ზრდა აზერბაიჯანიდან (+25.9% წ/წ, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანიდან სახმელეთო საზღვარი კვლავ დაკეტილია) და ინდოეთიდან (+27.7% წ/წ).

ამასთან, ვიზიტორთა შემცირება თურქეთიდან (-11.5% წ/წ) და სომხეთიდან (-5.7% წ/წ) ყველაზე მაღალი უარყოფითი წვლილით გამოირჩეოდნენ აღნიშნულ პერიოდში.

ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (56.3%-იანი წილი), რასაც მოსდევს საჰაერო გზით შემოსვლა (42.9%-იანი წილი).

სებ-ის შეფასებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 2.3%-ით გაიზარდა და 826 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2025 წლის 1-ელ კვარტალში. პროგნოზით, 2025 წელს ტურიზმის შესავლები 4.5 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს.

2025 Yılı İlk Çeyrek Dış Ticaret Değerlendirmesi: Baş Ortaklar ve Eğilimler

2025 წლის პირველი კვარტლის საგარეო ვაჭრობის მიმოხილვა: ძირითადი პარტნიორები და ტენდენციები

2025 yılının Ocak-Mart döneminde Gürcistan'ın dış ticareti önemli ölçüde artış gösterdi. Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi'nin (Geostat) verilerine göre, beyan edilmemiş ticaret hariç dış ticaret hacmi bir önceki yılın aynı dönemine göre %16.1 oranında bir artışa işaret eden 5.618 milyar ABD doları olarak gerçekleşti.

İhracat ve İthalat Verileri

- **İhracat**, %5.7 artarak 1.401 milyar ABD doları oldu;
- **İthalat**, %20.1 artışla 4.217 milyar ABD dolarına ulaştı.

Bu dönemde ülkenin **dış ticaret açığı** 2.816 milyar ABD doları seviyesinde gerçekleşti ve toplam dış ticaret hacminin %50.1'ini oluşturdu.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲘᲨᲑᲐᲜᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Başlıca Ticaret Ortakları

2025 yılının ilk çeyreğinde Gürcistan'ın **en büyük ticaret ortakları** şunlardı:

- **ABD** – 669.2 milyon ABD doları
- **Türkiye** – 663.3 milyon ABD doları
- **Rusya** – 642.8 milyon ABD doları

Bu üç ülke, toplam dış ticaretin yaklaşık %35'ini oluşturarak Gürcistan ekonomisi açısından stratejik önemlerini bir kez daha ortaya koydu.

İhracat Yönleri

İhracatta en büyük paya sahip üç ülke:

1. **Kırgızistan** – 298.6 milyon ABD doları
2. **Kazakistan** – 176.2 milyon ABD doları
3. **Azerbaycan** – 140.3 milyon ABD doları

İhracat ürünleri arasında toplam ihracatın %35.7'sini oluşturan **hafif otomobiller** (500.7 milyon ABD doları) liderliği almaktadır. Ardından **alkollü içecekler** (%3.9) ve **değerli metallerin cevher ve konsantreleri** (%3.8) yer alır.

İthalat Eğilimleri

Başlıca ithalat ürünleri şunlardır:

1. **Hafif otomobiller** – 622.2 milyon ABD doları (%14.8)
2. **Resimler, tablolar ve el yapımı sanat eserleri** – 481.1 milyon ABD doları (%11.4)
3. **Petrol ve petrol ürünleri** – 301.5 milyon ABD doları (%7.1)

2025 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო ვაჭრობა აქტიურად გაიზარდა. საქსტატის მონაცემებით, საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 5.618 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ექსპორტისა და იმპორტის მონაცემები

- **ექსპორტი** გაიზარდა 5.7%-ით და მიაღწია 1.401 მლრდ. აშშ დოლარს;
- **იმპორტი** 20.1%-ით გაიზარდა და შეადგინა 4.217 მლრდ. აშშ დოლარი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

შესაბამისად, ქვეყნის **უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა** 2.816 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50.1%-ია.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორები

2025 წლის პირველ კვარტალში საქართველოს **უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები** იყვნენ:

- **აშშ** – 669.2 მლნ. აშშ დოლარი
- **თურქეთი** – 663.3 მლნ. აშშ დოლარი
- **რუსეთი** – 642.8 მლნ. აშშ დოლარი

ამ სამ ქვეყანაზე მოდის საგარეო სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 35%, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისთვის.

საექსპორტო მიმართულებები

სამეული, რომელმაც ყველაზე მეტი წილი დაიკავა ექსპორტში:

1. **ყირგიზეთი** – 298.6 მლნ. აშშ დოლარი
2. **ყაზახეთი** – 176.2 მლნ. აშშ დოლარი
3. **აზერბაიჯანი** – 140.3 მლნ. აშშ დოლარი

საექსპორტო პროდუქტებიდან ლიდერობს **მსუბუქი ავტომობილები** (500.7 მლნ. აშშ დოლარი), რაც მთლიანი ექსპორტის 35.7%-ს შეადგენს. მას მოსდევს **სპირტიანი სასმელები** (3.9%) და **ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები** (3.8%).

საიმპორტო ტენდენციები

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქტებია:

1. **მსუბუქი ავტომობილები** – 622.2 მლნ. აშშ დოლარი (14.8%)
2. **ნახატები და ხელით შესრულებული მხატვრული ნამუშევრები** – 481.1 მლნ. აშშ დოლარი (11.4%)
3. **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** – 301.5 მლნ. აშშ დოლარი (7.1%)

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'ın Yağ İthalatı %39 Arttı

საქართველოს ზეთის იმპორტი 39%-ით გაუძვირდა

Gürcistan, 2025 yılının ilk üç ayında 10.9 milyon dolar değerinde 7,900 ton ayçiçeği yağı satın aldı. Rakamlar geçen seneye göre değer olarak yüzde 21.6 daha fazla, miktar olarak ise yüzde 8.3 daha az.

Geostat ithalat verilerine göre Gürcistan'ın yağ ithalatı bu yıl yüzde 39.2 oranında artış göstermiştir. 2025 yılında 1 litre fiyatı (gümrük vergisi hariç) 1.38 dolar olurken, geçen yılın aynı döneminde bu fiyat 99 sent teşkil etmiştir.

Gürcistan'a Yağ İthal Eden Ülke Sıralaması Aşağıdaki Gibidir:

Rusya - $8.5 mln, 6,340 ton;

Ukrayna - $1.7 mln, 1,125 ton;

Azerbaycan - $286.5 bin, 396.6 ton;

Macaristan - $186.4 bin, 96.5 ton;

Türkiye - $42.3 bin, 25.8 ton.

2025 წლის 3 თვეში საქართველომ 10.9 მლნ აშშ დოლარის 7,900 ტონა მზესუმზირას ზეთი იყიდა, რაც თანხაში გასული წლის მონაცემს 21.6%-ით აღემატება, რაოდენობრივად კი 8.3%-ით ნაკლებია.

საქსტატის იმპორტის მონაცემები აჩვენებს, რომ წელს საქართველოს ზეთის იმპორტი 39.2%-ით გაუძვირდა. 2025 წელს 1 ლიტრის ფასი [საბაჟომდე გადასახადების გარეშე] 1.38 დოლარი იყო, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი 99 ცენტი.

საქართველოში ზეთის იმპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალი ასეთია:

რუსეთი - $8.5 მლნ, 6,340 ტონა;

უკრაინა - $1.7 მლნ, 1,125 ტონა;

აზერბაიჯანი - $286.5 ათასის 396.6 ტონა;

უნგრეთი - $186.4 ათასის 96.5 ტონა;

თურქეთი - $42.3 ათასის 25.8 ტონა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcü Balı Çin'e İhraç Edilecek

ქართული თაფლი ჩინეთში ექსპორტზე გავა

Tiflis'te, Gürcistan ile Çin arasındaki Ticari ve Ekonomik İşbirliği Ortak Komisyonu'nun 9. oturumu gerçekleşti. Gürcistan Başbakan Birinci Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili ile Çin Halk Cumhuriyeti Ticaret Bakan Yardımcısı Lin Ji'nin başkanlık ettiği toplantıda iki ülke arasındaki ticari ve ekonomik ilişkilerin önde gelen konuları ele alındı.

Toplantı gündemine göre taraflar, Gürcistan ile Çin arasındaki serbest ticaretin geliştirilmesi perspektiflerini, yatırım ilişkilerini ve ulaştırma, lojistik, enerji, bilgi teknolojileri ve inovasyon, turizm, tarım gibi çeşitli sektörlerde işbirliği olanaklarını ve bu alanlardaki gelişim potansiyelini değerlendirdiler. Komisyon üyeleri direkt uçuşlarla ilgili konulara da değindiler. Görüşülen bir diğer önemli başlık Orta Koridor'un önemi ve Gürcistan'ın bu güzergâhın geliştirilmesindeki rolü oldu.

Toplantı sonunda Levan Davitashvili ve Lin Ji, Gürcistan-Çin Ticaret ve Ekonomik İşbirliği Ortak Komisyonu'nun 9. oturumuna ilişkin protokolü imzaladılar. Komisyon kapsamında, Gürcü balının Çin pazarına girişine izin veren anlaşmaya da imza atıldı. Ayrıca, önümüzdeki aylarda, tavuk eti ürünlerinin Çin pazarına sunulmasına ilişkin müzakerelerin tamamlanması beklenmektedir. Bu gelişme, Gürcistan'ın Çin pazarına yüksek talep gören ürünleri ilk kez ihraç etmesi için önemli bir fırsat sunmaktadır.

Gürcü balı bugüne kadar Çin'e neredeyse hiç ihraç edilmemiştir. Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi verilerine göre, ihracat sırf 2014-2015 yıllarında, önemsiz miktarlarda gerçekleşmiştir: 2014 yılında Çin'e 2.38 bin dolar değerindeki 29 kilogram bal, 2015 yılında ise 21.23 bin dolar değerindeki 3.18 ton ihraç edilmiştir.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

თბილისში საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-9 სხდომა გაიმართა. საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის მინისტრის მოადგილე ლინ ძის თანათავმჯდომარეობით სხდომის ფარგლებში ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილეს.

კომისიის სხდომის დღის წესრიგის თანახმად, მხარეებმა იმსჯელეს საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავების პერსპექტივებსა და საინვესტიციო ურთიერთობების, ასევე ტრანსპორტის, ლოჯისტიკის, ენერგეტიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის საკითხებსა და მათი გაღრმავების პერსპექტივებზე. კომისიის წევრებმა ორ ქვეყანას შორის პირდაპირ ფრენებთან დაკავშირებულ საკითხებზეც ისაუბრეს, განხილვის ერთ-ერთი თემა ასევე იყო შუა დერეფნის მნიშვნელობა და საქართველოს როლი აღნიშნული დერეფნის განვითარებაში.

სხდომის დასრულების შემდეგ ლევან დავითაშვილმა და ლინ ძიმ ხელი მოაწერეს საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-9 სხდომის ოქმს, კომისიის ფარგლებში ასევე ხელი მოეწერა ქართული თაფლის ჩინეთის ბაზარზე განთავსების ნებართვას, ამასთან, უახლოეს თვეებში დასრულდება მოლაპარაკება ფრინველის ხორცის ჩინეთის ბაზარზე განთავსების ოქმთან დაკავშირებით. ეს იქნება დამატებითი შესაძლებლობა, საქართველომ ჩინეთის ბაზარზე პირველად გაიტანოს ისეთი პროდუქტები, რომლებზეც მაღალი მოთხოვნა არსებობს.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ქართული თაფლი ჩინეთში ფაქტობრივად, არ გადიოდა. საქსტატის მონაცემებით, ექსპორტი, ისიც მცირე რაოდენობით მხოლოდ 2014-2015 წლებში განხორციელდა. 2014 წელს 29 კილოგრამი თაფლი გავიდა 2.38 ათასი დოლარის ღირებულების, 2015-ში კი 3.18 ტონა, საერთო ღირებულებამ 21.23 ათასი დოლარი შეადგინა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol TAV Airports Ziraat Bank